



დასრულებული გრანტები:

სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამა

1. აჭარის დემოკრატიული განვითარების კავშირი – ქობულეთში და ბათუმში მცხოვრები ბოშათა თემის ინფორმირება COVID-19-ის შესახებ. პროექტის ბიუჯეტი – \$ 1,375. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 31 მაისი, 2020.
2. კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო“ – საჯარო სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის დისტანციური სწავლების გამარტივება დამხმარე საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნით. პროექტის ბიუჯეტი – \$ 4,998. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 21 მაისი, 2020.
3. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია– COVID-19-თან დაკავშირებული მითებისა და ყალბი ინფორმაციის გამოვლენა და გაქარწყლება – მრავალფეროვანი საინფორმაციო მასალა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. პროექტის ბიუჯეტი – \$ 2,860. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 6 ივნისი, 2020.
4. გიორგი ბერია – იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის 7 კლინიკის სამედიცინო პერსონალის გადამზადება ახალი კორონავირუსით დაინფიცირებული პაციენტების ნაკადების ეფექტიანი მართვისა და სამედიცინო დაწესებულებაში ინფექციის გავრცელების პრევენციის საკითხებში. პროექტის ბიუჯეტი – \$ 2,258.50. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 31 მაისი, 2020.
5. სოციალური საწარმო „გუმბათი“ – წალკის მუნიციპალიტეტის სოფლების აზერბაიჯანული და სომხურენოვანი მოსახლეობის ინფორმირება ახალი კორონავირუსით გამოწვეულ საფრთხეებსა და პრევენციის გზებზე. პროექტის ბიუჯეტი – \$ 2,097. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 6 ივნისი, 2020.
6. მირიან ჯუღელი – prevencia.ge ონლაინ პლატფორმის დახმარებით, მოქალაქეების ინფორმირება სხვადასხვა ონლაინ სერვისზე, ასევე COVID-19-ის სიახლეებზე და მასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციაზე. პროექტის ბიუჯეტი – \$ 4,925. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 6 მაისი, 2020.
7. იალქანი – აჭარაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ჯგუფების ინფორმირება COVID-19-ზე და შესაბამის სახელმწიფო სერვისებზე. პროექტის ბიუჯეტი – \$ 4,136.50. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 6 ივნისი, 2020.
8. იდენტობა Youth – ბათუმში მცხოვრებ აივ/შიდსის მქონე პაციენტებში COVID-19-ის გავრცელების პრევენცია. პროექტის ბიუჯეტი – \$ 1,150. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 31 მაისი, 2020.
9. პლატფორმა „სალამ“ – მარნეულის, ბოლნისისა და გარდაბნის სოფლებში საინფორმაციო კამპანია COVID-19-თან დაკავშირებულ საფრთხეებზე და პრევენციის გზებზე. პროექტის ბიუჯეტი – \$4,000. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 31 მაისი, 2020.
10. სტუდია „ველოსიპედი“ – ბავშვების ინფორმირება COVID-19-ის შესახებ პოპულარული საბავშვო ანიმაციური ფილმის „ჟირაფი ჟოზეს“ სპეციალური სერიების მეშვეობით. პროექტის ბიუჯეტი – \$1,600. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 31 მაისი, 2020.
11. ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი“ – ზუგდიდსა და ქუთაისში ზიანის შემცირების სერვისცენტრების ბაზაზე ნარკომომხმარებლების (1200-1500 ბენეფიციარი)



ცნობიერების ამაღლება COVID-19-ზე. პროექტის ბიუჯეტი – \$ 4,420. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 21 მაისი, 2020.

12. **გიორგი ცაავას ფოტოსტუდია - ფოტოდღიურებით** თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანების ისტორიების გაზიარება. უარყოფით ინფორმაციულ გარემოში სამოტივაციო ფოტოებით მოქალაქეების გამხნეება და ფიზიკური დისტანციის დაცვის მნიშვნელობის შეხსენება. პროექტის ბიუჯეტი – \$1,930, ხანგრძლივობა: 4 მაისი - 4 ივნისი, 2020.
13. **ევროპა დონა საქართველო** – ონკოპაციენტების, მათი ოჯახის წევრებისა და მომვლელების ინფორმირება COVID-19-თან დაკავშირებულ საფრთხეებზე და ონკოპაციენტების სპეციალურ საჭიროებებზე. პროექტის ბიუჯეტი – \$ 3,900. პროექტის: 6 აპრილი – 15 ივნისი, 2020.
14. **მოწინავე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი** – მობილური აპლიკაციის – CovidBuster-ის შექმნა ვირუსის გავრცელების შესამცირებლად. პროექტის ბიუჯეტი – \$ 4,650. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 15 ივლისი, 2020.
15. **სამოქალაქო ინიციატივა „ცოდნის კაფე“** – სიღნაღში მცხოვრები მარტოხელა ხანდაზმულების მხარდაჭერა მოხალისეების აქტიური ჩართულობით. პროექტის ბიუჯეტი – \$ 3,500. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 18 ივნისი, 2020.
16. **Welfare Foundation** – პირველადი ჯანდაცვის რგოლის და საავადმყოფოების პერსონალის გადამზადება COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების ტრიაჟის და სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის გავრცელების პრევენციის საკითხებში. პროექტის ბიუჯეტი – \$ 4,890. ხანგრძლივობა: 6 აპრილი – 6 აგვისტო, 2020.
17. **„ვოლფრამის სინდრომი – საქართველო“** – ყრუ და უსინათლო პირების და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერა კორონავირუსის შესახებ ადაპტირებული ინფორმაციის გავრცელებით და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. პროექტის ბიუჯეტი: \$ 3,890. პროექტის ხანგრძლივობა: 4 მაისი – 19 ივნისი, 2020.
18. **„ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის ხელშეწყობა. ამ მიზნით ბავშვებთან, მათ მშობლებთან და სკოლების წარმომადგენლებთან ინტენსიური თერაპიული და საკონსულტაციო სესიების ორგანიზება. პროექტის ბიუჯეტი: \$ 4,673. პროექტის ხანგრძლივობა: 4 მაისი – 4 ივლისი, 2020.
19. **ბავშვთა ჰოსპისი „ციცინათელების ქვეყანა“** – უკურნებელი და ქრონიკული სენით დაავადებული ბავშვების და მათი მშობლების დისტანციური დახმარება სამედიცინო რჩევებისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციების საშუალებით. პროექტის ბიუჯეტი: \$ 4,700. პროექტის ხანგრძლივობა: 10 მაისი – 10 ივლისი, 2020.
20. **ლიკა ქურციკიძე და შორენა ტყეშელაშვილი** – სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური, გონებრივი და კოგნიტური განვითარებისთვის საგანმანათლებლო თამაშებისა და აქტივობების გადაღება და გავრცელება სოციალური მედიით. პროექტის ბიუჯეტი: \$ 460. პროექტის ხანგრძლივობა: 10 მაისი – 10 ივლისი, 2020.
21. **აკაკი ახალაია და marketer.ge** – ფართო საზოგადოების ინფორმირება COVID-19-თან დაკავშირებული სანდო კვლევების და პანდემიით გამოწვეული სირთულეების გადალახვის გზების შესახებ. ამ მიზნით marketer.ge-ზე საინტერესო ისტორიებისა და ვიზუალური მასალის გავრცელება. პროექტის ბიუჯეტი: \$ 4,960. პროექტის ხანგრძლივობა: 4 მაისი – 4 ივლისი, 2020.
22. **სოციალური მუშაკები საზოგადოების კეთილდღეობისთვის** – მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებების აღმზრდელების გაძლიერება ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის



გაწევის და მათი ქვეყნის სწორად მართვის მიზნით. პროექტის ბიუჯეტი: \$ 4,663. პროექტის ხანგრძლივობა: 10 ივნისი – 10 აგვისტო, 2020.

მოქალაქეთა ჩართულობის საგრანტო პროგრამა (Citizen Outreach Grants)

1. **კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის**, პროექტი "თქვენთვის შეტყობინება" - სამოქალაქო კამპანია რეგიონებში (თელავი, გორი და ქუთაისი) ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებზე და ამ კუთხით არსებულ პრობლემებზე. პროექტის ხანგრძლივობა: 14 ნოემბერი - 30 დეკემბერი, 2019. ბიუჯეტი - 8,770 \$.
2. **სამოქალაქო აქტივობების ცენტრი** - კახეთის და მცხეთა-მთიანეთის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის გაძლიერება და მათი ინტერესების დაცვა. პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი - 30 სექტემბერი, 2019. ბიუჯეტი: 14,990 \$.
3. **გამარჯვებულ ქალთა კლუბი** - საქართველოს რეგიონებში ძუძუს კიბოს პაციენტების და მათი ოჯახის წევრების გაძლიერება, მათი ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის ხელშეწყობა, და ფართო საზოგადოების ინფორმირება ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შესახებ. პროექტი ხორციელდებოდა თელავში, ზუგდიდში და ყაზბეგში. პროექტის ხანგრძლივობა: 15 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2019. ბიუჯეტი: 14,996.79 \$.
4. **კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო“** - საქართველოს რეგიონების სკოლის მასწავლებლებში და მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარება და პრაქტიკაში დანერგვა. ინტენსიური მედია და საგანმანათლებლო კამპანია. პროექტის ხანგრძლივობა: 15 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2019. ბიუჯეტი: 14,985.94 \$.
5. **კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი** - პანკისის ხეობაში ახალგაზრდების რადიკალიზაციისა და გაუცხოების შემცირება მათი კლასგარეშე საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებში ცართვით. პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი - 30 სექტემბერი, 2019. ბიუჯეტი: 14,995.40 \$.
6. **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის** - საქართველოს რეგიონების სკოლებში ბულინგისა და ძალადობის შემთხვევების შემცირება ცნობიერების ამაღლების გზით - საინფორმაციო სესიები მასწავლებლებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისთვის, მოსწავლეებისთვის; ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე სახელმძღვანელოს და საინფორმაციო ბროშურების გავრცელება; მასწავლებლებისა და მშობლების ინდივიდუალური კონსულტაციები. პროექტის ხანგრძლივობა: 15 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2019. ბიუჯეტი: 14,965,50 \$.
7. **სამოქალაქო ინიციატივა/ცოდნის კაფე** - ფართომასშტაბიანი საინფორმაციო და სამოქალაქო კამპანია წნორში (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) დამოუკიდებელი სოციალური სივრცის - ცოდნის კაფეს ასაშენებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 15 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2019. ბიუჯეტი: 14,812.80 \$.
8. **საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია** - თემზე დაფუძნებული ტურისტული პროდუქტების განვითარება შავი წყლის ხეობაში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი). პროექტის ხანგრძლივობა - 1 იანვარი - 15 სექტემბერი, 2019. ბიუჯეტი - \$ 14,890.
9. **ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)** - ზემო სვანეთში დიდი ჰესების მშენებლობის მონიტორინგი და ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვა. პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია - „მწვანე ალტერნატივასთან“ პარტნიორობით. პროექტის ხანგრძლივობა - 15 იანვარი - 15 სექტემბერი, 2019. პროექტის ბიუჯეტი - \$ 15,000.
10. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)** - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების მოსახლეობის დახმარება მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაში: იურიდიული



კონსულტაციები, ტრენინგებს და დაეხმარება ადვოკატირების კამპანიების წარმოებაში. პროექტის ხანგრძლივობა - 15 იანვარი - 30 სექტემბერი, 2019. პროექტის ბიუჯეტი - \$ 15,000.

11. **ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)** - პროექტი "საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში - 2018". პროექტის ფარგლებში შეფასდა, თუ რამდენად ასრულებდა საქართველოს ხელისუფლება ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებს 2018 წლის განმავლობაში. ასევე, შეფასდა საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა. კვლევის შედეგების საფუძველზე, IDFI-მ გამოავლინა ყველაზე ღია და დახურული საჯარო უწყებები. გამოიცა კვლევის ანგარიშები. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი - 15 ივლისი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: 14,995.50 \$.
12. **ქალები საქართველოდან**, პროექტი "ქალები საქართველოდან". პოპულარული Facebook გვერდის და ვებგვერდის განახლება ახალი ისტორიებით და მულტიმედია მასალით, რომლის მიზანია საქართველოში არსებული გენდერული ბარიერების და სტერეოტიპების გამოაშკარავება და გადალახვა. პროექტის ხანგრძლივობა - 15 იანვარი - 30 ივნისი, 2019. ბიუჯეტი - \$ 14,998.
13. **ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი**. პროექტი „ელექტრონული მექანიზმები ღია თვითმ-მართველობისათვის“. ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დანერგვა და მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ონლაინ პეტიციების პლატფორმის დანერგვა. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი, 2018 – 15 თებერვალი, 2019. ბიუჯეტი: 14,598 \$.
14. **"სამოქალაქო აქტივობების ცენტრი"**, პროექტი "*მთიან დასახლებებში თვითმმართველობების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა*". პანკისში და თუშეთში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში: ტრენინგები სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების შესახებ, დახმარება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ჩამოყალიბებაში, მოქალაქეების მობილიზაცია და ჩართვა ადვოკატირების კამპანიებში. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი - 15 ნოემბერი, 2018. ბიუჯეტი: 14,995 \$.
15. **სთეფ ფორვარდი**, პროექტი "*მშობლები ბავშვთა უფლებების ადვოკატირებისთვის*". მაღალმთიან აჭარაში სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო სერვისების დასანერგად ადვოკატირება. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი - 15 ნოემბერი, 2018. ბიუჯეტი: 15,000 \$.
16. **კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი**, პანკისელ ახალგაზრდებს (ეთნიკურად ქისტებს, ჩეჩნებს და ქართველებს) სკოლის გარეთ საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების შეთავაზება; საზაფხულო ბანაკი; სხვადასხვა ახალგაზრდული ინიციატივის მხარდაჭერა. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი - 15 სექტემბერი, 2018. ბიუჯეტი - 14,998\$.
17. **სამოქალაქო აქტივიზმისა და თანასწორობის ცენტრი**, პროექტი "ქალები საქართველოდან" - ამავე სახელწოდების Facebook-ის გვერდზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალების პირადი ისტორიების გამოქვეყნება. ACCESS-ის დახმარებით პროექტის ფარგლებში 45 ახალი ისტორია მომზადდა. ასევე შექიმნა ამავე სახელწოდების ვებგვერდი, სადაც თავმოყრილია ყველა ტექსტური და მულტიმედია მასალა. პროექტის ხანგრძლივობა: 1 მარტი - 31 ივლისი, 2018. ბიუჯეტი - 14,990\$.
18. **ურბანული ლაბორატორია**, პროექტი "5 მეტრი კლდე". პროექტის ფარგლებში მომზადდა დოკუმენტური ფილმი მეტროსადგური „ახმეტელის თეატრის“ მეორე, დაუმთავრებელი ამოსასვლელის და მის ირგვლივ მცხოვრები ადამიანების შესახებ. პროექტი დაფინანსდა დოკუმენტური ფილმების ფესტივალის – CINEDOC Tbilisi-სთან პარტნიორობით. პროექტის ხანგრძლივობა: სექტემბერი, 2017 - აპრილი, 2018. ბიუჯეტი- \$ 7,500.



19. „**Level 2**” - პროექტის ფარგლებში მომზადდა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ნაჩვენებია თბილისის ერთ-ერთი გარეუბნის მაგალითი, სადაც მწვანე საფარის სიმცირის გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ ბავშვებისთვის ფეხბურთის მოედანი ეზოს გარაჟების თავზე მოაწყვეს. პროექტი დაფინანსდა დოკუმენტური ფილმების ფესტივალის – CINEDOC Tbilisi-სთან პარტნიორობით. პროექტის ხანგრძლივობა: სექტემბერი, 2017 - ივნისი, 2018. ბიუჯეტი- \$ 7,500.
20. **ადგილობრივი დემოკრატიის სააგანტო - საქართველო**, პროექტი „*მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში*” - იმერეთის რეგიონში მცხოვრები ქალების მობილიზება და გაძლიერება, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და პოლიტიკურ სუბიექტებთან ამ საჭიროებების განხილვა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გამარჯვებული პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების საქმიანობის მონიტორინგი ქალების პრიორიტეტებთან მიმართებაში. პროექტის ხანგრძლივობა: 17 ივლისი, 2017 – 17 აპრილი, 2018. ბიუჯეტი - 14,990 \$.
21. **დამოუკიდებელ ჟურნალისტთა სახლი გაზეთ “ბათუმელებთან” პარტნიორობაში**, პროექტი *“ანტიდასავლური დეზინფორმაციის წინააღმდეგ აჭარაში”*. საინფორმაციო კამპანია ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და რუსული პროპაგანდის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად: საჯარო ლექციები, შეხვედრები ქალაქის და სოფლის მოსახლეობასთან, მედიაკამპანია, ესეების და პოსტერების კონკურსი და სხვ. პროექტის ხანგრძლივობა: 24 აპრილი, 2017 – 1 მარტი, 2018. ბიუჯეტი - \$ 14,950.
22. **ქალები რეგიონის განვითარებისთვის**, პროექტი *“ქალების ხმა თვითმმართველობაში”* - ქალების მობილიზაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შვიდ თემში (ბახვი, ლაითური, ნარუჯი, ნასაკირალი, ლიხაური, ძიმითი და დვაბზუ) და მათი საჭიროებების ადვოკატირება წინასაარჩევნო და არჩევნების შემდგომ პერიოდში. პროექტის ხანგრძლივობა: 17 ივლისი, 2017 - 17 თებერვალი, 2018. ბიუჯეტი - \$ 14,598
23. **ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის**, პროექტი *“ქალების პოლიტიკური მონაწილეობის მხარდაჭერა”*. აქტიური საინფორმაციო კამპანია მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომლის მიზანი იყო ამომრჩეველი ქალების მობილიზება, ინფორმირება და გააქტიურება საკუთარი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და საარჩევნო კანდიდატებთან კომუნიკაციის პროცესში. პროექტის ხანგრძლივობა: 17 ივლისი -17 დეკემბერი, 2017. ბიუჯეტი - 14,990 \$.
24. **სამცხე-ჯავახეთის მედიაცენტრი**, პროექტი *“ქალები ქალებისთვის”* - ბორჯომის, ახალციხის, მარნეულისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში აქტიური ქალების მობილიზება, რომლებმაც მოახდინეს საკუთარ თემებში ქალების საჭიროებების იდენტიფიცირება. ამ საჭიროებების წარდგენა საარჩევნო კანდიდატებთან ტელეგადაცემებში. პროექტის ხანგრძლივობა: 17 ივლისი, 2017 - 17 იანვარი, 2018. ბიუჯეტი - 14,970 \$.
25. **ლევან მიქელაძის ფონდი**, პროექტი *“ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალი ამომრჩეველის ჯგუფის ფორმირება”* - ახალციხეში, ახალქალაქში და მარნეულში ქალი ამომრჩეველების გაძლიერება, რომ მათ ერთობლივად მოეხდინათ საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების გამოკვეთა და შემდეგ ამ საჭიროებების განხილვა საარჩევნო სუბექტებთან. ამ მიზნით, ქალებს ჩაუტარდათ ტრენინგები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელობის და შესაბამისი გზების შესახებ. პროექტის ხანგრძლივობა: 17 ივლისი - 17 დეკემბერი, 2017. ბიუჯეტი - 14,998 \$.
26. **რადარში**, პროექტი: *“საზოგადოების ინფორმირება რუსული პროპაგანდის შესახებ”*. საქართველოს 20 ქალაქში პიტერ პომერანცევის წიგნის *“არაფერია ნამდვილი და ყველაფერი შესაძლებელია: მოგ ზაურობა თანამედროვე რუსეთში”* ქართული თარგმანის საჯარო განხილვები მოწვეული სპიკერების მონაწილეობით. მულტიმედია მასალის მომზადება წიგნში აღწერილი



ხერხებისა და მეთოდების შესახებ. პროექტის ხანგრძლივობა - 1 აპრილი - 30 ნოემბერი, 2017.
ბიუჯეტი - \$15,000.

27. **სამოქალაქო აქტივიზმისა და თანასწორობის ცენტრი.** პროექტი "ქალები საქართველოდან" - ამავე სახელწოდების პოპულარული Facebook გვერდის ხელშეწყობა. ამ გვერდზე ქვეყნდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალების პირადი ისტორიები, თუ როგორ ახერხებენ ისინი გენდერული ბარიერების და სტერეოტიპების გადალახვას და აქტიურ სოციალურ ცხოვრებას. ACCESS-ის დახმარებით მომზადდა 60 ახალი ისტორია. პროექტის ხანგრძლივობა: 1 ივნისი - 30 ნოემბერი, 2017. პროექტის ბიუჯეტი - \$ 14,920.
28. **JumpStart Georgia** - პროექტის "მალა ცაში" - ჰაერის დაბინძურების ნეგატიური შედეგების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება და გააქტიურება. ამ მიზნით შეიქმნა ონლაინ პლატფორმა www.filter.ge, სადაც განთავსდა ვიზუალური მასალა (ინფოგრაფიკები) ჰაერის დაბინძურების და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. პროექტის ხანგრძლივობა: 1 ივლისი, 2016 - 30 ივნისი, 2017. პროექტის ბიუჯეტი: \$14,930.
29. **სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (გურჯაანი),** „ახმეტის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში (მაღალმთიან დასახლებებში) თვითმმართველობების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა“. თუშეთის, პანკისის ხეობის, უკანა ფშავის, ხევსურეთისა და გუდამაყარის სოფლებში მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის ხელშეწყობა; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების ჩამოყალიბება და გაძლიერება. პროექტის ბიუჯეტი: \$ 14,835. ხანგრძლივობა: 1 მარტი- 1 სექტემბერი, 2015.
30. **სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (ბათუმის ფილიალი),** პროექტი "მართე შენი ქალაქი" - ქ. ბათუმში ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მოდელის დანერგვა (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გაძლიერება და საზოგადოების ჩართულობის სხვა მექანიზმების დანერგვა); ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და სამოქალაქო აქტივობის გაზრდა. ბიუჯეტი: \$ 14,990. პროექტის ხანგრძლივობა: 1 მარტი, 2016 - 31 იანვარი, 2017.
31. **ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო - საქართველო (ქუთაისი),** პროექტი „მიიღე მონაწილეობა მართვაში“-იმერეთის რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა: მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ სახელმძღვანელოს შემუშავება, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა, მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ადგილობრივი პრობლემების ადვოკატირება. ბიუჯეტი: \$ 14,975. პროექტის ხანგრძლივობა: 1 მარტი - 1 დეკემბერი, 2016.
32. **ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი (ოზურგეთი),** პროექტი „ინფორმირების სისტემის ამოქმედება, თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად“ - თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბებით და გაძლიერებით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით (დაინტერესებული მოსახლეობისთვის საკრებულოს საქმიანობების შესახებ შეტყობინებების (მესიჯების) დაგზავნა), საკრებულოში მოსახლეობის ინფორმირების წესის ცვლილების ადვოკატირებით. ბიუჯეტი: \$ 14,520. პროექტის ხანგრძლივობა: 1 მარტი - 31 დეკემბერი, 2016.
33. **ეთნოსთაშორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი (თბილისი),** პროექტი „არჩევნების კომიქს-ტენტი“ - ინოვაციური მეთოდებით საპარლამენტო არჩევნებისა და ზოგადად არჩევნების არსის შესახებ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ინფორმირება და მათი არჩევნებში მონაწილეობის წახალისება: ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით საარჩევნო თემაზე ორენოვანი (ქართულ-სომხური) კომიქსების მომზადება; ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში და ადიგენში საინფორმაციო ღონისძიებების - „კომიქს-ტენტები“ მოწყობა. პროექტის ხანგრძლივობა: 10 აგვისტო - 14 ოქტომბერი, 2016. ბიუჯეტი - \$14,905.



34. **სტეფანწმიდა (ყაზბეგი)**, პროექტი „ ადვოკატირება ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის უფლებების და ინტერესების დასაცავად 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას“ - საარჩევნო პროცესებში ყაზბეგის მოსახლეობის ცოდნისა და ჩართულობის ამაღლება, მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირება და მაჟორიტარობის კანდიდატების ინფორმირება ამ პრობლემების შესახებ. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების და ყაზბეგის მოსახლეობას შორის ღია შეხვედრების ორგანიზება. პროექტის ხანგრძლივობა: 15 აგვისტო - 15 ნოემბერი, 2016. ბიუჯეტი - \$ 7,983.
35. **კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი (კახეთი)**, პროექტი "პანკისის მოსახლეობის ჩართვა თვითმმართველობის რეფორმაში" - პანკისელი ახალგაზრდების მხარდაჭერა საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და მათი როლის გაზრდა ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში. პროექტის ბიუჯეტი: \$ 14,250.
36. **აჭუაჭუ – ფონდი კულტურის განვითარებისთვის (თბილისი)**, პროექტი "თავისუფალი კინოჩვენებები" - საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კულტურული ცხოვრების გასააქტიურებლად ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა; თავისუფალი კინოჩვენებების და შემდგომი დისკუსიების ორგანიზება და მუნიციპალური კინოთეატრების იდეის მხარდაჭერა მობილიზება. ბიუჯეტი: \$14, 990.
37. **კავშირი „ვეფინი“**, პროექტი "ადრეული ქორწინება – გაუცნობიერებელი პასუხისმგებლობა" - კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონების მოსახლეობაში ადრეული ქორწინების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. ბიუჯეტი: \$ 14,450.
38. **ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირი“**, პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება ჭიათურის გარემოსდაცვითი პრობლემების შემსუბუქებისათვის" - ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზება ჭიათურაში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტისთვის. ბიუჯეტი: \$ 14, 235.
39. **ბორჯღალი (აჭარა)**, პროექტი "100" - სოციალური საწარმოს შექმნა (საბავშვო წიგნების მაღაზია) და ადვოკატირება სოციალურად დაუცველი, მარტოხელა და 100 წელს მიღწეული/გადაცილებული მოხუცებისთვის აჭარაში.
40. **სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (კახეთი)**. პროექტი "ახალგაზრდების ჩართულობისა და სამოქალაქო აქტიურობის მხარდაჭერა პანკისის ხეობაში" - მედიის მიერ პანკისის ხეობაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების საკითხების გაშუქება, ეთნიკურად ქისტი ახალგაზრდების უნარების გაძლიერება – მათთვის სამოქალაქო ჟურნალისტიკის საფუძვლების სწავლება, და მცირემასშტაბიანი ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა. ბიუჯეტი: \$ 14, 973.
41. **საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი (თბილისი)**, პროექტი "ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაცია (კახეთის რეგიონში)" - პანკისსა და თელავში ახალგაზრდებისთვის ევროკავშირსა და NATO-ს შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადება ტრენინგებად. რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან ევროკავშირისა და NATO-ს შესახებ. ბიუჯეტი: \$14, 751.
42. **იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“ (იმერეთი)**, პროექტი "პატარა მდინარეები - დიდი პრობლემები" - ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის ინფორმირება წყალდიდობისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების მზადყოფნისა და პრევენციის შესახებ. ბიუჯეტი: \$ 14, 940. პროექტის ხანგრძლივობა: 1 სექტემბერი 2015 - 30 აპრილი, 2016.



საჯარო პოლიტიკისა და ანგარიშვალდებულების საგრანტო პროგრამა (Public Policy and Accountability Grants)

1. **საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი (StratCom)**, პროექტი "საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი". მოქალაქეთა უშუალო ჩართვა ანტიდასავლური დეზინფორმაციის გაქარწყლების პროცესში; ასევე, ინტერნეტში პროდასავლური ნარატივების გაავრცელება ვებგვერდის, FB გვერდისა და მობილური აპლიკაციის საშუალებით. პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი - 15 ოქტომბერი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 29,328.
2. **საქართველოს გაეროს ასოციაცია**, პროექტი "პასუხი დეზინფორმაციაზე - საქართველოს მაგალითი". ბოლო 3-5 წლის განმავლობაში საქართველოში წარმოებული ანტიდასავლური პროპაგანდის ბუნების და მეთოდები, ასევე მათი გავლენის შესამცირებლად განხორციელებული ინიციატივების კვლევა და ანალიზი. პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი - 15 აგვისტო, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 10,042.
3. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)**, პროექტი - "მედეგობის და ნდობის გაზრდა". რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის შემცირება ახალგაზრდების ჩართულობისა და გაძლიერების გზით: ტრენინგები, დებატების ტურნირი და სხვ. პროექტის ხანგრძლივობა: 15 ნოემბერი, 2018 - 15 სექტემბერი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 30,000.
4. **ბათომი**, პროექტი „ ბათუმში მდგრადი ურბანული განვითარების მხარდაჭერა“ - ბათუმში ისტორიული ქალაქის ადეკვატური, ძეგლთა დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა; მოსახლეობის ინფორმირებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე. პროექტის ხანგრძლივობა: 1 ივლისი, 2018 - 1 სექტემბერი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 39,105
5. **ორბელიანი საქართველო**, პროექტი "საზოგადოებრივი ნდობისა და მედეგობის გაზრდა ქვემო ქართლში" – ქვემო ქართლის რეგიონში ეთნიკურად აზრებაიჯანელი ახალგაზრდების გააქტიურება და მათი სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა. პროექტის ხანგრძლივობა - 1 იანვარი-31 ივლისი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 29,750.
6. **საქართველოს ევროპული პერსპექტივა**, პროექტი "ძალა ევროპაშია". ანტიდასავლური მითების გაქარწყლება და მოსახლეობის ინფორმირება დასავლურ ღირებულებებზე და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე. ამ მიზნით, ორ კვირაში ერთხელ, რუსთავი 2-ის შაბათის შუადღის ეთერში გადიოდა 20-წუთიანი რუბრიკა "ძალა ევროპაშია", მზადდებოდა მოკლე საინფორმაციო ვიდეოები, სადაც შეჯამებული იყო გადაცემის მთავარი მესიჯები, ფაქტები და არგუმენტები. საინფორმაციო ვიდეოები რუსთავი 2-ის ეთერში დღეში რამდენჯერმე გადაიცემოდა. პროექტის ხანგრძლივობა: 25 აპრილი, 2018 - 1 მაისი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: 49,920 \$.
7. **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)**, პროექტი „თბილისში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“. ააიპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მუშაობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა, და ამით თბილისში კულტურული მემკვიდრეობის უკეთ დაცვა. ამ მიზნით, „საიამ“ განახორციელა „თბილისის განვითარების ფონდის“ საქმიანობის მონიტორინგი, „თბილისის ჰამქარმა“ კი შეაფასა ფონდის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა ანგარიშები და კონკრეტული რეკომენდაციები. ჩატარდა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია. პროექტის ხანგრძლივობა: 1 ივნისი, 2018 - 1 ივნისი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 40,955.
8. **თბილისის არქიტექტურის ბიენალე**, პროექტი „ ქალაქი ახლოდან – თბილისის რეკრეაციული და სამშენებლო რეგულაციების ხელახალი გააზრება“. პოლიტიკოსების და მოქალაქეების ინფორმირება თბილისის ურბანულ გამოწვევებზე, მათ მიზეზებზე და გადაჭრის შესაძლო



გზებზე. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული კვლევები, გაიმართა დისკუსიები და „ინდიგოსთან“ თანამშრომლობით მომზადდა მრავალფეროვანი მულტიმედია მასალა.

პროექტის ხანგრძლივობა: 1 ივლისი, 2018 - 31 მარტი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 39,970

9. **საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის**, პროექტი “პასუხისმგებლიანი ინიციატივების გაძლიერება სუფთა ჰაერისთვის” - ადვოკატირება საგზაო უსაფრთხოების სფეროში რეფორმების მხარდასაჭერად და ქვეყანაში ჰაერის დაბინძურების დონის შესამცირებლად: ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირების პროცესის მონიტორინგი და შეფასება და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება. პროექტის ხანგრძლივობა: 15 ივნისი, 2018 - 15 ივნისი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 20,481.
10. **კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-საქართველო (CRRC-საქართველო) და** ონლაინმედია „**ნეტგაზეთის**“ ერთობლივი პროექტი "რუსული პროპაგანდის ბარომეტი". პროექტის ფარგლებში „CRRC-საქართველომ“ შეისწავლა ქართულ სოციალურ მედიაში გავრცელებული ანტიდასავლური ნარატივებისა და პროპაგანდის გავლენა ინტერნეტმომხმარებლებზე. ყოველდღიურად ხდებოდა სხვადასხვა ქართულენოვანი ონლაინგამოცემიდან, ფეისბუქის გვერდიდან და ჯგუფიდან მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რომლის შემდეგ ხდებოდა იმ ძირითადი თემების, აქცენტების და სენტიმენტების გამოვლენა, რასაც ანტიდასავლური ჯგუფები ყველაზე აქტიურად ავრცელებენ. ასევე ხდებოდა ამ საკითხებზე ინტერნეტმომხმარებლების რეაქციების ანალიზი. პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი, 2018 - 1 აგვისტო, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 52,235.
11. **საქართველოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი (StratCom)**, პროექტი "საინფორმაციო თავდაცვის ლეგიონი", გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „**iFact**“-თან და ჟურნალ „**ინდიგოსთან**“ პარტნიორობით. მოქალაქეთა უშუალო ჩართვა ანტიდასავლური დეზინფორმაციის გაქარწყლების პროცესში და ინტერნეტში პროდასავლური ნარატივების გაავრცელებაში სპეციალური ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის საშუალებით. ჟურნალ „**ინდიგოში**“ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ისტორიული არჩევანის შესახებ კონკრეტული ამბების და ფაქტების გამოქვეყნება. „iFact“-ის ჟურნალისტური გამოძიებები ანტიდასავლური ჯგუფების კავშირებზე და დაფინანსების წყაროებზე. 1 აპრილი, 2018 - 1 თებერვალი, 2019. პროექტის ბიუჯეტი: \$ 57,736.
12. „**ინტეგრაცია – გზა ნატოსა და ევროკავშირისკენ**“ პროექტი "მითი თუ რეალობა?" - საინფორმაციო კამპანია ანტიდასავლური მითების გასაქარწყლებლად. რუსთავი 2-ის გადაცემა "სხვა შუადღის" ეთერში ორ კვირაში ერთხელ გადაიცემოდა ტელერუბრიკები ანტიდასავლურ დეზინფორმაციაზე და მითებზე სლოგანით #ძალაევროპაშია. გადაცემის გარდა მომზადდა სოციალური კლიპები ანტიდასავლურ პროპაგანდასა და მითებზე. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი, 2017 - თებერვალი, 2018. ბიუჯეტი: \$49,920.
13. „**კვლევითი ჟურნალისტიკისა და ადვოკატირების ცენტრი**“ - ფართო საზოგადოების ინფორმირება ევროპის ბაზრის უპირატესობებზე და DCFTA-ის შესაძლებლობებზე. ვებგვერდზე www.EUGeorgia.info 100-მდე სტატიის და მულტიმედია მასალის განთავსება ევროპის ბაზარის უპირატესობებზე. რეგიონებში ფერმერებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და ადგილობრივ ტელევიზიებში თოქ-შოუების ორგანიზება. პროექტის ხანგრძლივობა: 1 მარტი - 1 ნოემბერი, 2017. ბიუჯეტი: \$50,000.
14. „**მედიის განვითარების ფონდი**“ - ანტიდასავლური დეზინფორმაციის გაქარწყლება და გავრცელებული მითების საპასუხოდ სტატიების განთავსება ვებგვერდზე mythdetector.ge („მითების დეტექტორი“-ს სერია). მომზადებულ სტატიებზე ყოველკვირეული სიუჟეტების და ინტერვიუების მომზადება ტელეკომპანია პირველის



ეთერში. მედიაწიგნიერების სემინარები ახალგაზრდებისთვის თბილისსა და რეგიონებში. პროექტის ხანგრძლივობა: 10 მარტი - 10 ნოემბერი, 2017. ბიუჯეტი: \$49,980.

15. „საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო“ საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო კამპანია ლოზუნგით „ძალა ერთობაშია, ძალა ევროპაშია“. კამპანიის ფარგლებში დასავლეთ საქართველოს რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში მოეწყო საჯარო შეხვედრები და ღონისძიებები ცნობილი ადამიანების და ექსპერტების მონაწილეობით. ღონისძიებები ჩატარდა აჭარაში, სამეგრელოში და იმერეთში. პროექტის ხანგრძლივობა: 15 მარტი - 15 ოქტომბერი, 2017. ბიუჯეტი: \$49,600.
16. **CRRC-Georgia** და „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“, პროექტი „STOP“ (*Safe Transit Options for Passengers – უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობები მგზავრებისთვის*) - საქალაქთაშორისო ტრანსპორტის უსაფრთხოების გაზრდა და ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მიდგომების გამოყენებით. პროექტის ბიუჯეტი \$49,330, ხანგრძლივობა: 1 მარტი, 2016 – 1 მარტი, 2017.
17. საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის, პროექტი "საგზაო უსაფრთხოების პრობლემის ეფექტური გადაწყვეტის გზები საქართველოში" - საგზაო უსაფრთხოების სფეროში ეფექტური გადაწყვეტის გზების შესახებ (ქულათა სისტემა, მოძრავი კამერები და სხვა) მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსის მშენებლობა. პროექტის ხანგრძლივობა: 26 სექტემბერი, 2016 – 27 იანვარი, 2016. ბიუჯეტი: \$ 15,000.
18. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, პროექტი "დამოუკიდებელი მედიის გარემოს ხელშეწყობა" - მედიის ბაზარზე რეკლამის განთავსების ტენდენციების და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ანალიზი საერთაშორისო შედარებით კონტექსტში. პროექტის ბიუჯეტი: \$ 13,000. პროექტის ხანგრძლივობა: 15 ოქტომბერი, 2015 - 15 მარტი, 2016.
19. მედიის განვითარების ფონდი (MDF), პროექტი "საქართველოს მედიის ბაზარი: ახალი ტენდენციები და პოლიტიკის საკითხები" - სახელმწიფო ფინანსების გამოყენების ტენდენციები მედიაში და მისი გავლენა მედიის კონტენტსა და დამოუკიდებლობაზე. პროექტის ბიუჯეტი: \$ 13,000. პროექტის ხანგრძლივობა: 15 ოქტომბერი, 2015 - 15 ივნისი, 2016.
20. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პროექტი "დამოუკიდებელი მედიის გარემოს ხელშეწყობა" - ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის კონტექსტში „მასთ ქერი-მასთ ოფერის“ პრინციპის, მედიის მფლობელობის და სატელივიზიო რეიტინგების გაზომვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი. პროექტის ბიუჯეტი: \$ 12,990. პროექტის ხანგრძლივობა: 1 ნოემბერი, 2015 - 1 ივლისი, 2016.
21. მედიის განვითარების ფონდი (MDF), პროექტი "მითების მსხვერვა და მოსახლეობის ინფორმირება ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით" - მოსახლეობისთვის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების სისტემის გაუმჯობესება. პროექტის ბიუჯეტი: \$ 79, 870. პროექტის ხანგრძლივობა: 2 ივლისი, 2015 - 30 აპრილი, 2016.
22. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC), პროექტი "ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად" - EPRC-ი საქართველოში მოქმედ ფერმერებს და სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ მცირე საწარმოებს დაეხმარება შესაბამისობაში მოვიდნენ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) მოთხოვნებთან. პროექტის ბიუჯეტი - \$49.920. ხანგრძლივობა: 1 მარტი, 2016 – 1 მარტი, 2017.
23. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), პროექტი "სამუშაო პირობების გაუმჯობესების და უსაფრთხოების ინსპექციის ამუშავების ხელშეწყობა" - მომუშავეთა სამუშაო პირობების და უსაფრთხოების დაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა
და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან. პროექტის ბიუჯეტი: \$ 79,177. პროექტის ხანგრძლივობა: 1 ივლისი, 2015 - 31 ოქტომბერი, 2016.

24. **ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)**, პროექტი "საქართველოში მაღალი დონის საჯარო მოხელეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებისთვის საჯარო პოლიტიკის ანალიზის 5-დღიანი ინტენსიური კურსის პროგრამის შემუშავება და ჩატარება" - პროექტი გულისმობს "ლიდერთა აკადემიის" კურსის მხარდაჭერას. პროექტის ხანგრძლივობა: 1 აპრილი, 2015 – 31 იანვარი, 2016. ბიუჯეტი - \$ 19,921.